დანართი 1

დამტკიცებულია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის _____ ნოემბრის
N_____ ბრძანებით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „წლის ხელოვანი“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა", ღონისძიების „წლის ხელოვანი“ (შემდგომში - ღონისძიება) შესარჩევი კონკურსის ჩატარების პირობებს, ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენციებს და მხარეთა ვალდებულებებს.

2. ღონისძიების ფარგლებში, მიმდინარე წლის წარმატებულ ხელოვანთა შორის, გამარჯვებულთა გამოვლენა ხორციელდება კონკურსის წესით (ნომინაციების მიხედვით), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - ჟიური) რეკომენდაციების გათვალისწინებით, მერის ბრძანებით.

3. ღონისძიების ფარგლებში, მიმდინარე წლის წარმატებულ ხელოვანთა შორის გამარჯვებულთა გამოვლენა ხდება ორი მიმართულებით:

- ახალი - 2024 წელს შექმნილი საკონკურსო კომპოზიციების მიხედვით (იხ. პუნქტი 4.);
- 2024 წელს მიღწეული წარმატებ(ებ)ის მიხედვით.

4. საკონკურსო კომპოზიცია უნდა იყოს ახალი - 2024 წლის პროდუქტი/შემოქმედება/შესრულება (კლიპი, ალბომი, ნომერი, ნაწარმოები, ნაშრომი...) ჩაწერილი/გადაღებული/წარმოდგენილი ვიდეო ფორმატში, რომელიც ეძღვნება ბათუმს და ბათუმთან ასოცირებულ ღირებულებებს/ფასეულობებს - ზღვა, სიყვარული, ბათუმელები და ა.შ. კულტურის სფეროს მიმართულებით:

- მუსიკა;
- თეატრი;
- ლიტერატურა (დრამატურგია, პოეზია, პროზა);
- ქორეოგრაფია (ფოლკლორული/საბალეტო/სამეჯლისო/ბრეიკ-დანსი/ჰიპ-ჰოპი და ა.შ.);
- კინომატოგრაფია (დოკუმენტური კინო, ანიმაციური ფილმები, მხატვრული კინო);
- ფოტოხელოვნება;
- მოქანდაკეობა (სკულპტურა);
- ხუროთმოძღვრება (არქიტექტურა, მხატვრობა);

5. კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადის შემოტანა შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, ასევე, მოქალაქეთა არანაკლებ 10 კაციან საინიციატივო ჯგუფს (შემდგომში - აპლიკანტი).

6. კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურ/სოლო, ასევე, ჯგუფურ - 2-ზე მეტი მონაწილის გაერთიანების - ანსამბლი, დასი, გუნდი, ჯგუფი და ა.შ. (შემდგომში - ჯგუფი) ფორმატში. შესაბამისად, კონკურსის მონაწილე შეიძლება იყოს -

ფიზიკური პირი ან ჯგუფი (შემდგომში - კონკურსანტი). ამასთან, კონკურსანტი განაცხადის შეტანის მომენტისთვის რეგისტრირებული უნდა იყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. გამონაკლის შემთხვევაში:

- ფიზიკური პირი - არარეგისტრირებული წევრი, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მუშაობდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და მონაწილეობდა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თუ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებული პროექტის (მათ შორის საკონკურსო კომპოზიციის) განხორციელებაში და ამ პერიოდში, მოღვაწეობდა/საქმიანობდა ქ. ბათუმში;
- ჯგუფი - თუკი, წევრთა ნახევარზე მეტი - არანაკლებ 60%, რეგისტრირებულია ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხოლო არარეგისტრირებული წევრ(ებ)ი, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მუშაობდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და მონაწილეობდა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თუ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებული პროექტის (მათ შორის საკონკურსო კომპოზიციის) განხორციელებაში და ამ პერიოდში, მოღვაწეობდა/საქმიანობდა ქ. ბათუმში;
- სხვა შემთხვევაში, გადაწყვეტილება ფიზიკური პირის/ჯგუფის კონკურსში დაშვება-არდაშვების თაობაზე, მიიღება ჟიურის მიერ.

7. სასურველია, კონკურსანტი თავისი მოღვაწეობით, საქმიანობით, საზოგადოებრივი ღვაწლით თუ პროფესიული შემოქმედებით, ემსახურებოდეს ეროვნული კულტურის განვითარების - პოპულარიზაციის, მრავალსაუკუნოვანი, ეროვნული ღირებულებების, უძველესი ტრადიციებისა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის თვითმყოფადობის - ქართული ფასეულობების წარმოჩენას. ამასთან, კონკურსის/მერიის პრიორიტეტებთან მიმართებაში დამაბრკოლებელია იმ კონკურსანტთა მონაწილეობა, რომლებიც საჯარო განცხადებებით არ ერიდებიან საზოგადოების დაყოფის, ერთმანეთთან დაპირისპირების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უპატივმცემლობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ერთიანობის, ეროვნული ღირებულებების, პიროვნების ღირსებისა და პატივის შელახვის გამოვლინებას, უხამს გამონათქვამებს.

8. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალის ორგანიზება ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო შესყიდვის ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 29 000 ლარს.

9. ფულადი ჯილდოს სახით გასაცემი თანხის საერთო ოდენობა შეადგენს - 31 000 ლარს.

მუხლი 2. მიზანი

ღონისძიების მიზანია - ბათუმის და ბათუმთან ასოცირებული ღირებულებების/ფასეულობების - ზღვა, სიყვარული, ბათუმელები და ა.შ. რეკლამირება/პოპულარიზაცია და იმ ნიჭიერ/წარმატებულ ხელოვანთა ხელშეწყობა-მხარდაჭერა, სტიმულირება-წახალისება, რომლებმაც:

1. მიმდინარე წელს შექმნეს ახალი ღირებული კულტურული პროდუქტი (კლიპი, ალბომი, ნომერი, ნაწარმოები, ნაშრომი...);
2. მიმდინარე წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან - თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და გამორჩეულ წარმატებებს (ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ) და პირადი წვლილი შეიტანეს ქ. ბათუმის პოპულარიზაციაში, წარმოჩენაში-აღიარებაში.

მუხლი 3. ნომინაციები და ფულადი ჯილდოები (ერთჯერადი გასაცემლის სახით)

1. კონკურსში გამარჯვებულ ფიზიკურ პირზე/ჯგუფზე, დაწესებულია შემდეგი სახის საჩუქარი/ჯილდო (შემდგომში - ჯილდო):

- პრიზი - მერიის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი ან მთავარი პრიზი/გრან-პრი;
- სიგელი - ჩარჩოში ჩასმული, სუბლიმაციურ ფირფიტაზე ან ქაღალდზე აღბეჭდილი აღიარების/დამსახურების მოწმობა;
- ფულადი ჯილდო (ერთჯერადი გასაცემელის სახით);
- ვაუჩერი (სასაჩუქრე) - 100 ლარის ექვივალენტის ნომინალი/ფასიანი ქაღალდი, რომელიც იძლევა მომსახურების/საქონლის მიღების/შეძენის უფლებას (ჰიპერმარკეტში). ამასთან, ვაუჩერის გაცემა დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორი ჰიპერმაკეტი თავის მხრივ, დააწესებს მნიშვნელოვან შეღავათებს (მ.შ. ფასდაკლებას) ან/და ბონუსებს, რაც გაზრდის ვაუჩერის ნომინალურ ღირებულებას და უფრო მეტი სიკეთის მიღების შესაძლებლობას.
- ჟიურის მიერ გაიცეს რეკომენდაცია - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში, 2024 წელს გამარჯვებული კომპოზიციის მიხედვით, კლიპის, ალბომის ან სხვა მსგავსი პროდუქტის/ღონისძიების განხორციელების მიზნით, ასიგნებების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

2. ნომინაციები:

2.1 **„ხელოვანი ბათუმისთვის“** - ხელოვანი, რომელმაც 2024 წელს თავისი შემოქმედებითი თუ პროფესიული საქმიანობით მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას საერთაშორისო, ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის (ან სხვა) მასშტაბით, რომელიც გამორჩეულია პროფესიული ოსტატობით, კვალიფიკაციით, კულტურის/ხელოვნების იდეალების ერთგულებით და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება. თითოეულ გამარჯვებულს (რაოდენობას განსაზღვრავს - ჟიური) გადაეცემა ჯილდო;

2.2 **„წლის კოლექტივი“** - ხელოვანთა ჯგუფი, გუნდი / დასი / ანსამბლი (ან სხვა მსგავსი) - კოლექტივი (იურიდიული პირი ან იურიდიული პირის შემადგენლობაში მყოფი), რომელმაც 2024 წელს მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება საერთაშორისო, ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის (ან სხვა) მასშტაბით და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება. ერთი გამარჯვებული. გადაეცემა ჯილდო;

2.3 **„წლის კულტურის მუშაკი“** - კულტურის სფეროში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული პირი, რომელმაც მ.წ. მიღწეული წარმატებით თუ გამორჩეული პროფესიული საქმიანობით, გაწეული ღვაწლით, კულტურის იდეალების ერთგული და გულმოდგინე მსახურებით, დაიმსახურა აღიარება. თითოეულ გამარჯვებულს (რაოდენობას განსაზღვრავს - ჟიური) გადაეცემა ჯილდო;

3. დასაშვებია, კონკურსში წარდგენილ ნებისმიერ პირს/ჯგუფს, ჟიურის მიერ, გაეწიოს რეკომენდაცია - დაწესდეს სპეციალური პრიზი/ტიტული/საპატიო წოდება და გადაეცეს ჯილდო.

მუხლი 4. ავტორიზაცია

1. აპლიკანტმა, განცხადება კონკურსში მონაწილეობის სურვილის თაობაზე უნდა წარადგინოს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25), ასევე, ელექტრონულ ფოსტაზე: Info@Batumi.ge თანდართული დოკუმენტაციით:

1.1 **ფიზიკური პირზე:**

1.1.1 განაცხადი (ბრძანების დანართი 2);

1.1.2 ბიოგრაფიული მონაცემები;

1.1.3 ფოტოსურათი (ერთი ცალი);

1.1.4 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი;

1.1.5 ცნობა რეგისტრაციის (საცხოვრებელი ადგილის) შესახებ ან დასურათებული მტკიცება ე.წ. „სკრინშოტი“, სამოქალაქო რეესტრის ვებ-გვერდიდან (თარიღის წარმოჩენით), მისი რეგისტრაციის - საცხოვრებელი ადგილის/მისამართის მითითებით;

1.1.6 საკონკურსო კომპოზიცია (თანდართული) - საკონკურსო კომპოზიცია უნდა იყოს ახალი - 2024წლის პროდუქტი/შემოქმედება/შესრულება (კლიპი, ალბომი, ნომერი, ნაწარმოები, ნაშრომი...), რომელიც ეძღვნება ბათუმს და ბათუმთან ასოცირებულ ღირებულებებს/ფასეულობებს - ზღვა, სიყვარული, ბათუმელები და ა.შ. ჩაწერილი/გადაღებული ვიდეო ფორმატში და წარდგენილი - DVD/CD დისკზე/ USB ფლეშ მეხსიერება/YouTtube ბმული ან სხვა ნებისმიერი/მისაღები ტექნიკური საშუალებით;

1.1.7 მიმდინარე წელს მიღწეული წარმატებები (არსებობის შემთხვევაში) - პრემია / ჯილდო / სიგელი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ქსერო ასლი) ან/და ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი აუდიო/ვიდეო მასალა;

1.2 **ჯგუფი (ორი და მეტი წევრი) :**

1.2.1 განაცხადი (ბრძანების დანართი 2);

1.2.2 ფოტოსურათი (ერთი ცალი);

1.2.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი (თითოეული წევრის);

1.2.4 ცნობა რეგისტრაციის (საცხოვრებელი ადგილის) შესახებ (თითოეული წევრის) ან დასურათებული მტკიცება ე.წ. „სკრინშოტი“, სამოქალაქო რეესტრის ვებ-გვერდიდან (თარიღის წარმოჩენით), მისი რეგისტრაციის - საცხოვრებელი ადგილის/მისამართის მითითებით (თითოეული წევრის);

1.2.5 საკონკურსო კომპოზიცია (თანდართული) - საკონკურსო კომპოზიცია უნდა იყოს ახალი - 2024 წლის პროდუქტი/შემოქმედება/შესრულება (კლიპი, ალბომი, ნომერი, ნაწარმოები, ნაშრომი), რომელიც ეძღვნება ბათუმს და ბათუმთან ასოცირებულ ღირებულებებს/ფასეულობებს - ზღვა, სიყვარული, ბათუმელები და ა.შ. ჩაწერილი/გადაღებული ვიდეო ფორმატში და წარდგენილი - DVD/CD დისკზე/ USB ფლეშ მეხსიერება/ YouTtube ბმული ან სხვა ნებისმიერი/მისაღები ტექნიკური საშუალებით;

1.2.6 მიმდინარე წელს მიღწეული წარმატებები (არსებობის შემთხვევაში) - პრემია / ჯილდო / სიგელი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ქსერო ასლი) ან/და ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი აუდიო/ვიდეო მასალა;

2. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე (ბეჭდური სახით - Microsoft Word Document / Sylfaen), ხოლო უცხო ენაზე წარმოსადგენი დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი - ქართულ ენაზე წარმოდგენილი. ამასთან, სამსახური უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტაცია.
3. მერია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.
4. თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმის წარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტაციის შესწავლა.

2. აპლიკანტის მიერ წარდგენილი განაცხადი, ამ დებულებით გათვალისწინებულ თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც

შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით, გადაეცემა - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, კულტურის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

3. განყოფილება:
   3.1 უზრუნველყოფს წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებას და რეესტრში შეყვანას;
   3.2 შეისწავლის განაცხადს და არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, აპლიკანტს წერილობით აცნობებს ხარვეზის გამოსწორების თაობაზე. ასევე, განხორციელდება კომუნიკაცია, განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით), რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 5 სამუშაო დღის ვადაში;
   3.3 განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში - განაცხადი ჟიურის მიერ, არ განიხილება;
   3.4 თუ დოკუმენტაცია შეესაბამება წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებს - მასალებს წარუდგენს ჟიურის წევრებს;
   3.5 ამზადებს მოხსენებით ბარათს კურატორი მერის მოადგილის (არყოფნის შემთხვევაში - სამსახურის უფროსის) სახელზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, წინამდებარე დებულებასთან შესაბამისობის თაობაზე.

4. მეორე ეტაპი ითვალისწინებს ჟიურის მიერ, განაცხადების განხილვას, როგორც პირდაპირი (აპლიკანტის/კონკურსანტის მოწვევის/მოსმენის ფორმატში), ასევე, საკომუნიკაციო საშუალებებით (საჭიროების მიხედვით).

მუხლი 6. განაცხადების მიღებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს აღნიშნული წესის დამტკიცების დღიდან, მიმდინარე წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.
2. ჟიური, შემოსულ განაცხადებს განიხილავს მიმდინარე წლის 16 დეკემბრამდე.
3. გადაწყვეტილების მიღება ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 7. ჟიურის უფლებამოსილებები

1. **ჟიური:**
   1.1. თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესით;
   1.2. ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;
   1.3. ამტკიცებს იმ განაცხადთა სიას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;
   1.4. განიხილავს განაცხადებს, აკეთებს შეფასებებს, გამოავლენს გამარჯვებულებს (მ.შ. ღია ან ფარული კენჭისყრით) თითოეული მიმართულების მიხედვით და გასცემს რეკომენდაციებს;
   1.5. განსაზღვრავს, გამარჯვებულ თითოეულ პირზე/ჯგუფზე გასაცემ ჯილდოს (რომელიმე ერთს ან რამდენიმეს), ასევე, ფულადი ჯილდოს ოდენობას;
   1.6. უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
2. ჟიურის წევრთა რაოდენობა და სიითი შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით.
3. ჟიურის მუშაობას ხელმძღვანელობს ჟიურის თავმჯდომარე, რომელსაც ამტკიცებს მერი, ხოლო მისი არყოფნისას - ჟიურის თავმჯდომარის მოადგილე;
4. ჟიურის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი.
5. საჭიროებიდან გამომდინარე (საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე), ჟიურის სხდომა შეიძლება გადაიდოს გონივრული ვადით ან ჩატარდეს დამატებით.

6. ჟიურის თავმჯდომარე:

6.1. წარმართავს ჟიურის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს ჟიურის წევთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;

6.2. ჟიურის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა, მერს წარუდგენს მოხსენებით ბარათს განხილვის შედეგების შესახებ (ბრძანების პროექტთან ერთად).

7. ჟიურის მდივანი:

7.1. ახორციელებს განაცხადების შესწავლა-დამუშავებას და რეესტრში შეყვანას. ასევე, ჟიურის სხდომის ორგანიზებას, საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;

7.2. ჟიურის მოახსენებს/გააცნობს ინფორმაციას განაცხადებთან მიმართებაში;

7.3. ჟიურის წევრთა მიერ, განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით, ახდენს საბოლოო შედეგების გამოვლენას;

7.4. აფორმებს ჟიურის გადაწყვეტილებას (საბოლოო შედეგებთან მიმართებაში) ოქმის სახით, ჟიურის სხდომის დასრულებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში, რომელსაც ხელს აწერს ჟიურის თავმჯდომარე და მდივანი. ასევე, აუცილებელია ოქმში დაფიქსირებული სიტყვით გამომსვლელ(ებ)ის ხელმოწერა, მის მიერ წარმოთქმული სიტყვის / ტექსტის სისწორის დადასტურებასთან მიმართებაში ან/და მის მიერ გადმოგზავნილი კომენტარ(ებ)ი, რომელიც ოქმს თან ერთვის;

7.5. ამზადებს მოხსენებით ბარათს, კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და გამარჯვებულ პირთა/ჯგუფთა დაფინანსების თაობაზე (ბრძანების პროექტთან ერთად), მერზე წარსადგენად.

8. ჟიურის წევრი:

8.1. შეისწავლის განაცხადს, გამოთქვამს თავის მოსაზრებებს (ზეპირსიტყვიერად ან/და წერილობით) და ახდენს შეფასებას;

8.2. გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად.

9. ჟიურის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასებები კონფიდენციალურია და განკუთვნილია მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის.

მუხლი 8. შეფასების კრიტერიუმები

შეფასება განხორციელდება შეფასების 0 – 10 ქულის ფარგლებში (ბრძანების დანართი 3).

მუხლი 9. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბოლოო შედეგები განისაზღვრება ჟიურის თითოეული წევრის მიერ, წარდგენილი თითოეული განაცხადის შეფასების შედეგად, დაგროვილი ქულების დაჯამებით.

2. რეკომენდაცია გაეწევა იმ პირებს, რომლებიც მიიღებენ მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.

3. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია ჟიურის თავმჯდომარის პოზიცია.

4. გადაწყვეტილების მიღება ხდება მერის ბრძანებით.

მუხლი 10. დაჯილდოების ცერემონიალი

1. დაჯილდოების ცერემონიალის გამართვის მიზანია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა, ქალაქის საზოგადოებასთან ერთად, საზეიმოდ აღნიშნოს - დააჯილდოოს ნიჭიერი/წარმატებული ხელოვანები, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან - თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და გამორჩეულ წარმატებებს (ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ) და პირადი

წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარებაში, ქ. ბათუმის რეკლამირება/პოპუ-ლარიზაციაში ან/და წარმოჩენაში/აღიარებაში.

2. დაჯილდოების ცერემონიალი, როგორც წესი, იმართება მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ბოლოს, ხოლო დამაბრკოლებელ პირობებში (პანდემია ან სხვა) - გარემოებების გათვალისწი-ნებით, მერთან შეთანხმებით/გადაწყვეტილებით.

3. დაჯილდოების ცერემონიალის ლოკაციას, ფორმატს და სხვა ორგანიზაციული საკითხების დაგეგმვა - განხორციელებას, უზრუნველყოფს სამსახური.

მუხლი 11. ანგარიშსწორების წესი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ქ. ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის წერი-ლობითი მიმართვის და მერის ბრძანების საფუძველზე, გასცემს ფულად ჯილდოებს (ერთჯე-რადი გასაცემლის სახით).